საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარების კონცეფცია-ლაშა ზარგინავა

საზოგადოებრივი მაუწყებლის მისია და სარედაქციო დამოუკიდებლობა

ბრიტანელი მედია-ექსპერტი და მეცნიერი, ენტონი სმიტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ "ბოლო ასწლეულში, შესაძლოა, სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამსახური იქცა სოციალური დემოკრატიის უმთავრეს იარაღად" ვინაიდან იგი არა პარტიებსა და კორპორაციებს, არამედ თავისუფალ მოქალაქეებს, კულტურასა და დემოკრატიას ემსახურება.

მედია-ექსპერტის ამ მოსაზრებას ამყარებს, პრაქტიკული გამოცდილება იმის შესახებ, რომ დემოკრატიული ქვეყნის აშენება შეუძლებელია მხოლოდ პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტების ძალისხმევით. ეს მიზანი მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუკი მთელ საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული დემოკრატიული ფასეულობების მნიშვნელობა საკუთარი ქვეყნის მომავლისთვის და აქტიურადაა ჩართული დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესში. ამ მხრივ კი, ყველაზე მთავარი საზოგადოების ჩართულობაა.

მაგრამ ამისათვის საზოგადოების თითეულ წევრს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ობიექტურ ინფორმაციასა და ცოდნაზე, რელიგიური, ეთნიკური, ეკონომიკური სტატუსისა და სოციალური წარმომავლობის მიუხედავად. აქედან გამომდინარე, თავისუფალ მოქალაქეთა ინტერესებზე ორიენტირებულ საჯარო მაუწყებლობას კიდევ უფრო დიდი როლი და პასუხისმგებლობა ეკისრება პოსტსაბჭოთა საზოგადოებების, გარდამავალი ეკონომიკისა და არამდგრადი დემოკრატიების პირობებში.

საზოგადოებრივ მაუწყებელს, თუნდაც პოლიტიკური პროცესების გაშუქებაში, გაცილებით მეტი და მნიშვნელოვანი მისია და ფუნქცია აკისრია, ვიდრე ამას ქართულ სინამდვილეში ვხედავთ. სწორედ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს უფრო მეტად აქტიურ რეჟიმში პოლიტიკური პროცესების გაშუქება, დებატების უზრუნველყოფა, უფრო მეტად ინფორმირებული ამომრჩეველი, პოლარიზებულ მედია-გარემოში მხარეებს შორის კონსტრუქციული დიალოგის უზრუნველყოფა და საზოგადოების დღის წესრიგში არსებული თემების სიღრმისეული გაშუქება და მსმენელისა და მაყურებლის ინფორმირება.

ეს ფუნქცია, მეტ-ნაკლებად იკისრა ბოლო წლების განმავლობაში აჭარის ტელევიზიამ და რადიომ, სადაც აქტიურად მიდიან პოლიტიკური სუბიექტები, საკანონმდებლო, თვითმმართველობისა და მმართველობით რგოლებში მოსვლის მსურველები, რომლებიც პასუხობენ ჟურნალისტების მწვავე კითხვებს და ამით, ხელს უწყობენ გააზრებული არჩევანის უზრუნველყოფას ხმის უფლების მქონე მოქალაქეებში.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო წარმოადგენს ძლიერ მედია საშუალებას, რომლის სარედაქციო დამოუკიდებლობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აჭარის ავტონომიასა და მთლიანად ქვეყანაში გარდამავალი დემოკრატიის პირობებში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებისას სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების უზრუნველყოფას, მედიის ფუნქციების სრულყოფილად გატარებით.

განვითარებული ქვეყნების საზოგადოება დიდი ხანია შეთანხმდა, რომ:

- საზოგადოებრივი მაუწყებლობა წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის ინფორმირების, განათლებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვის სამსახურს, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი სახელმწიფო და კომერციული გავლენებისაგან.

- ეს არის ქვეყნის ყველა მოქალაქის მაუწყებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული, დემოკრატიული და სოციალური ფასეულობების მუდმივ დომინირებას ცალკეული ჯგუფების პოლიტიკურ და კომერციულ ინტერესებზე.

- საზოგადოებრივი მაუწყებელი მიმართავს ქვეყნის მთელ მოსახლეობას და არა ვიწროპარტიულ აუდიტორიას, იგი ორიენტირებულია თავისუფალ მოქალაქეებზე და არა მომხმარებელზე. და ხელს უწყობს თავისუფლებაზე დამყარებული სისტემის ჩამოყალიბებას.

- იგი პასუხობს საზოგადოების ყველა სეგმენტის, ასაკობრივი და პროფესიული ჯგუფის, რეგიონების მოსახლეობის და, აგრეთვე, უმცირესობების სოციალურ, კულტურულ, ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

- საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელს უწყობს სამოქალაქო მშვიდობას, კონსოლიდაციას, უნივერსალურ ფასეულობებზე დამყარებული ეროვნული კულტურის განვითარებას, ეროვნული იდენტობისა და ქვეყნის კულტურული სუვერენიტეტის დაცვას.

- ამავე დროს, მისი მანდატი არ შემოისაზღვრება მხოლოდ მოსახლეობის ინფორმირებითა და კულტურული განვითარებით. იგი უნდა აცხოველებდეს მაყურებლის წარმოსახვას და გარკვეული დოზით ემსახურებოდეს აუდიტორიის გართობასაც. თუმცა, კომერციული არხებისაგან განსხვავებით, საზოგადოებრივი ტელემაუწყებლის გასართობი პროგრამებიც საბოლოო ჯამში უნდა ემსახურებოდნენ ცოდნის ჰორიზონტის გაფართოებას, კრიტიკული აზროვნების სტიმულირებას, თვითშემეცნებასა და გემოვნების ამაღლებას.

ჩემი მრჩეველთა საბჭოში საქმიანობის მთავარი პრინციპი იქნება, სწორედ ამ ღირებულებების ერთგულება და მათი დაცვა, მაუწყებლის საინფორმაციო

პოლიტიკის დამოუკიდებლობის გარანტიების დაცვითა და გაძლიერებით. უნდა შეიქმნას ყველა მექანიზმი, რათა უზრუნველყოფილ იქნას, კანონმდებლობითა და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დაცვა და გაძლიერება, ჟურნალისტურ საქმიანობაში ცაურევლობისა და ცალკეულ შემთხვევებზე, მრჩეველტა საბჭოს მხრიდან, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს რეაგირება, ყველა შიდა და გარე რესურსით. მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მედიის პრობლემებზე მომუშავე ეროვნულ ორგანიზაციებთან კომუნიკაციითა და იმ მექანიზმების ჩართვით, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელს აძლევს საშუალებას კანონმდებლობით გარანტირებული საინფორმაციო პოლიტიკა გაატაროს.

ქართული მედია-სივრცე, მკვეთრად პოლარიზებულია, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელს, როგორც საზოგადოებისთვის დაბალანსებული ინფორმაციის მიმწოდებელ ორგანიზაციას კიდევ უფრო მნიშვნელოვან ფუნქციას ანიჭებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიო, სტატუსიდან გამომდინარე, უნდა ემსახუროს საყოველთაობის პრინციპს. საზოგადოებრივი მაუწყებლობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს თითეული მოქალაქისათვის სოციალური სტატუსისა და ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად. ამ თვალსაზრისით, ის უნდა გახდეს დემოკრატიულობისა და დამოუკიდებლობის მაგალითი დანარჩენი მედიასაშუალებებისათვის.

მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი დეცენტრალიზაციასა და დამოუკიდებლობი თვითმმართველობების პროცესს, რაც ავტონომიის სტატუსის პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

რა მიმართულებით უნდა განვითარდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო?

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს, დღემდე არ გააჩნია სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველჰყოფდა ორგანიზაციის მომავალი წლების განმავლობაში განვითარებასა და ორიენტირებას. ამ დრომდე, მაუწყებლის საქმიანობის დაგეგმარება და განხორციელება ხდება, პროგრამული პრიორიტეტების საფუძველზე, რომელიც რიგ შემთხვევაში, ასევე არ სრულდება, ან სრულდება ნაწილობრივ. ორგანიზაციას გააჩნია პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც გაიწერა 2018-19 წლებზე და რომელსაც ვადა გაუგრძელდა 2020 წლის ჩათვლით.

დღეს არსებული საეთერო ბადის ანალიზის საფუძველზე, აუცილებელია ითქვას, რომ პრიორიტეტების შესრულება განათლების, ბავშვთა, მოზარდთა, ახალგაზრდობისა და ეკონომიკის თემატიკის ნაწილში სრულად ვერ ხერხდება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია უახლოეს ხანებში დაიგეგმოს და ტელევიზიისა და რადიოს ეთერში ჩაეშვას გადაცემები აღნიშნულ თემატიკაზე.

კანონმდებლობითა და პრიოროტეტების დოკუმენტით განსაზღვრული სხვადასხვა საკითხის გარდა, მნიშვნელოვანია, აჭარის ტელევიზიამ და რადიომ განსაკუთრებული აქცენტი გააკეთოს აჭარის რეგიონისთვის დამახასიათებელ

სპეციფიკურ კონტექსტებზე და ასევე გახდეს ინფორმაციის ანგარიშგასაწევი მომწოდებელი საზოგადოებისათვის, მათ შორის გახდეს პირველწყაროც რეგიონში სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სამომავლო განვითარებისთვის აუცილებელია, პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისას, ჩართულობა იყოს უფრო მეტად უზრუნველყოფილი, მათ შორის ყველა იმ ორგანიზაციისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყანაში საგანმანათლებლო, ეკონომიკური, სამართლებრივი, პოლიტიკური, კულტურული და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებების წარმატებით განვითარებას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო უნდა გააქტიურდეს კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით. მაუწყებელს შეუძლია გახდეს, ავტონომიის სინამდვილეში მნიშვნელოვანი მისიის მატარებელი ორგანიზაცია ამ მიმართულებით. დღეს არსებული საეთერო ბადის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია ვთქვათ, რომ პრიორიტეტების შესრულება განათლების, ბავშვთა, მოზარდა და ახალგაზრდობის თემატიკის ნაწილში სრულად ვერ ხერხდება. ამ მიზნის რეალიზება, შესაძლებელია იმ უმაღლესი სასწავლებლების რესურსის გამოყენებით, რომელიც რეგიონში ფუნქციონირებს და საუკეთესო საგანმანათლებლო კერებად მიიჩნევა ქვეყანაში. კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებების გაძლიერება, პრიორიტეტების ნაწილში, მნიშვნელოვნად გაზრდის მაუწყებლის უკუკავშირს საზოგადოებასთან, მათ შორის ახალგაზრდებთან. ესაა ფუნქცია, რომელსაც ვერც ერთი კერძო ტელევიზია ვერ უზრუნველყოფს, თითოეული მათგანის კერძო და კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე.

უნდა გაძლიერდეს პრიორიტეტების შესრულების ნაწილში კონტროლი.

სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი

სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის შექმნა იქნება ჩემი ერთ-ერთი ამოცანა, მრჩეველთა საბჭოში საქმიანობის პერიოდში. სტრატეგიული გეგმა უნდა მოიცავდეს ფართო მიზნებს, ხოლო მრჩეველთა საბჭო უნდა უზრუნველყოფდეს:

- საზოგადოების ყველა სეგმენტის აქტიურ ჩართულობას მისი შედგენის პროცესში, მათ შორის დისკუსიებს საოგადოების ყველა სეგმენტის ჩართულობით. ეს საშუალებას მოგვცემს, მაუწყებლის სამომავლო საქმიანობა , პასუხობდეს საზოგადოებისა და მაუწყებლის მრავალფეროვან ინტერესებს.

- დოკუმენტში უნდა გაიწეროს უმაღლესი ტექნიკური და საწარმოო სტანდარტები, რაც ადეკვატური დაფინანსებისა და თანხების ეფექტური ხარჯვის ინდიკატორი იქნება.

- ესწრაფვოდეს ცნობადობას, სხვა არხებისგან თვალსაჩინო განსხვავებას, რაც ნოვატორული მიდგომების ძიებაში და ტელევიზიის, როგორც საინფორმაციო

საშუალების მთელი შემეცნებით-საგანმანათლებლო პოტენციალის სრულად გამოყენებაში გამოიხატება.

- ხელს უწყობდეს ექსპერიმენტებს და არ ერიდებოდეს მაყურებლის სტერეოტიპების შეცვლას. ეს საშუალებას მოგვცემს, შევავსოთ კომერციულ მოგებაზე ორიენტირებული მაუწყებელთა ხარვეზები.

- მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ფუნქციების გადანაწილებასა და შესაბამისი კომპეტენციის კადრების მობილიზებას.

- ბიუჯეტის შედგენის პროცესს, ბევრად უფრო დახვეწილსა და მიზნებზე ორიენტირებულს გახდის.

- მაუწყებელს საშუალებას მისცემს ზუსტად განსაზღვროს სამომავლო მიზნები და ამოცანები.

ტექნიკური და ინფრასტრუქტურული საკითხები

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს, შესაბამისი შენობის არარსებობა, რაც შემდგომში პირდაპირ აისახება ტელევიზიის მიერ შექმნილ ჟურნალისტურ პროდუქტზე, დასაქმებულთა შრომით უსაფრთხოებასა და განვითარებაზე.

შესაბამისი ფართუის არარასებობის გამო, ტელევიზიის რამდენიმე რედაქცია იძულებულია გადაცემების პირდაპირ ეთერში ტრანსლირება და მომზადება განახორციელოს ერთიდაიგივე სტუდიიდან.

ტელევიზიას არ აქვს საშუალება გადაცემების მომზადება მოახდინოს თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, რაც ხშირ შემთხვევაში, პირდაპირ აისახება გადაცემების ხარისხზე.

აჭარის ტელევიზიას და რადიოს, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელს და მნიშვნელოვან პლატფორმას, საზოგადოებრივად აქტუალურ ტემებთან დაკავშირებით, წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით , უნდა მიეცეს საშუალება შესაბამის სტუდიებში უზრუნველყოს დებატების, დისკუსიებისა და ვოქშოპების მოწყობა.

ტელევიზიის არსებული შენობა, არ არის ადაპტირებული, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციურ დატვირთვას და მნიშვნელოვნად აფერხებს შშმ პირების ცართულობას საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებთან მიმართებით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციის სრული რეალიზებისთვის, აუცილებელი აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭომ უფრო აქტიურად ითანამშრომლოს ყველა შესაბამის უწყებასთან და მოახდინოს უფრო კონცენტრირებული ადვოკატირება:

ა) მაუწყებლის შენობის პრობლემის მოგვარების მიმართულებით;

ბ)გამოინახოს ფულადი სახსრები და სხვა საშუალებები ტექნიკური გადაიარაღების მიმართულებით, მათ შორის საერტაშორისო დონორებთან თანამშრომლობით;

საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა

საზოგადოებრივი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის ბოლო წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ მნიშვნელოვანი ხარვეზები და ბუნდოვანებაა, მაუწყებლის არჩევა/გადარჩევის წესთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭომ, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ამ საკითხზე მუშაობა, ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით (იურისტები, არასამთავრობო სექტორი, უფლებადამცველი ორგანიზაციები და სხვა)

სახალხო დამცველი და ოპოზიცია ახმოვანებს მნიშვნელოვან ინიციატივას, მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების (კვოტირების) წესთან დაკავშირებით, რაც საზოგადოებაში დიდი ხანია აქტუალურია. მოქმედი მრჩეველთა საბჭოს მონაწილეობა ამ პროცესში არის მნიშვნელოვანი და აუცილებელი. მრჩეველთა საბჭომ, როგორც ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა რგოლმა მაუწყებელში, უნდა უზრუნველყოს ჩართულობის მაღალი ხარისხი და თანამშრომლობა, ინიციატივის მომზადება-დახვეწის პროცესში.

საერთაშორისო და ადგილობრივ დონორებთან ურთიერთობა

საერთაშორისო და ადგილობრივ დონორებთან აქტიური თანამშრომლობა, მაუწყებელში უზრუნველყოფს პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეტად ჩართულობასა და მაუწყებელში დამატებითი ფინანსური/ტექნიკური რესურსების მობილიზებას (გრანტები, ტექნიკური დახმარება).

საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, გარდა მატერიალურისა, მნიშვნელოვნად გაზრდის თანამშრომელთა პროფესიული უნარების ამაღლებას, მათ ჩართულობასა და თანამედროვე მიღწევების გაზიარებას.

დონორების დახმარებით უნდა დაიწყოს, მაუწყებლის თანამშრომელთა გაცვლითი პროგრამების მოძიება და განხორციელება, საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება, სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ მაუწყებლებთან.

სხვა ძირითადი ასპექტები:

- მნიშვნელოვანია, მრჩეველთა საბჭომ სრულად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლებები და უზრუნველყოს არხის საინფორმაციო დამოუკიდებლობა, სამართლიანი შრომითი უფლებები, შრომისთვის უსაფრთხო გარემო და მაუწყებლის თანამშრომელთა დაცვა, ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში.
- საბჭო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ დირექტორის არჩევით, ბიუჯეტის დამტკიცებითა და ზოგადი ინფორმაციის მოსმენით. ამ ინსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის განვითარება და მაუწყებლის კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლებამოსილებების დაცვა.
- მრჩეველთა საბჭო, უნდა ახდენდეს დირექტორის მიერ წარდგენილი ანგარიშების, სამოქმედო გეგმების მოსმენას, განალიზებასა და რეკომენდაციების მიწოდებას და არ უნდა ერიდებოდეს დასაბუთებულ კრიტიკას, რომელიც პოზიტიურ როლს შეასრულებს მაუწყებლის განვითარებაში;
- მრჩეველთა საბჭო, მუდმივად უნდა ცდილობდეს მაუწყებლის განვითარების საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვასა და საუკეთესო მაგალითების გადმოტანას, ჩვენს სინამდვილეში.
- უნდა შეიქმნას ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი პოლიტიკა.
- როგორც მრჩეველთა საბჭო, ისე ტელევიზიისა და რადიოს მენეჯმენტი უნდა ახდენდეს რეაგირებას, სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ მონიტორინგის ანგარიშებზე/დასკვნებზე. ისინი უნდა იყვნენ გახსნილები იმსჯელონ დაფიქსირებულ გამოწვევებზე და მოახდინონ რეაგირება პრობლემებზე;
- სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციებთან უნდა მოეწყოს დისკუსიები, იმ გამოწვევებსა და მიღწევებზე, რომელიც ეხება პროგრამული პრიორიტეტების შესრულებას, მონიტორინგის ანგარიშებსა და დასკვნებს.